

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის
არსებული მექანიზმები ქართული ბანკების მაგალითზე

დიანა ცივაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ცივაძე

17/06/2024

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
1.1 აბრევიატურის ჩამონათვალი	5
2.1 შესავალი.....	6
2.2 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	9
რამდენიმე მეთოდი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში	17
მეთოდები, რომელსაც შეიძლება იყენებდეს კრიმინალი ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში	22
ფულის გათეთრება - ბრძოლის საშუალებები სხვადასხვა ორგანოს მიხედვით	25
AML/CFT საკითხი საქართველოს ეროვნული ბანკის მიხედვით:	31
ჯარიმები საქართველოში მოქმედ კომერიცულ ბანკებს.....	36
კვლევის მეთოდოლოგია.....	44
შედეგები	47
დისკუსია/ინტერპრეტაცია	50
დასკვნა	52
ბიბლიორგაფია.....	54

აბსტრაქტი

თანამედროვე ცივილიზაციაში ფული არის ის, რაც ყველასათვის მნიშვნელოვანი, საარსებო რესურსია, შესაბამისად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით მის ირგვლივ საუბრებს. თანამედროვე სამყაროში, პოპულარული თემა გახდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. ფული არის ის, რაც ყოველდღიურ მიმოქცევაშია და, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი მუდმივად ცირკულირებს და საზოგადოების ინტერესიც მის მიმართ განსაკუთრებით დიდია. ვინაიდან ამ ე.წ. ოფშორული საქმიანობით დაკავებული ადამიანების რიცხვმა საკმაოდ იმატა, საზოგადოების ინტერესია, რომ მსგავსი ტიპის კრიმინალი აღმოფხვრას სახელმწიფომ. ყოველ ქვეყანაში ფულის ემისიას ახორციელებს ეროვნული ბანკი. საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფულის მიმოქცევის საკითხი დარეგულირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო ეროვნული ბანკების მაკონტროლებელი არის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FAFT).

კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რეგულაციები აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიმართ ამ დარგში, რა შემთხვევების გამო მოხდა ამ ბანკების დაჯარიმება, ასევე, გამოიკითხა გარკვეული რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც სარგებლობენ საბანკო სერვისით. ბანკის სერვისით მოსარგებლე ადამიანების გამოკითხვამ მოგვცა საშუალება, დაგვედგინა, თუ როგორ იცავს ქართული კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ რეგულაციებს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში (რადგან ბანკების შესაბამისი დეპარტამენტები უარს აცხადებდნენ ინტერვიუში ინფორმაციის გაცხადებაზე).

კვლევის სრულყოფისათვის, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები კვლევის ორივე ტიპი ეფუძნება პირველად და მეორეულ მონაცემებს. კვლევის საშუალებით

დადგინდა, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საკითხში, განსაკუთრებული როლი აქვს კომერციული ბანკების AML/CFT დეპარტამენტების მიერ შესრულებულ საქმიანობას. გამოიყო რამდენიმე საკითხი, რაც შეიძლება ხარვეზს უქმნიდეს ამ პროცესს კომერციულ ბანკებში. ქართული კომერციულ ბანკების საქმიანობა შედარდა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი, ტერორიზმის დაფინანსება, ფულის გათეთრება, AML/CFT რეგულაციები საქართველოს ეროვნული ბანკი.